

საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მუხამედ ართმელაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
ფრაქციის წევრობა: ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის წევრი

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის წევრი

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): მაჟორიტარი, ბათუმის 79-ე ოლქი

საანგარიშგებო პერიოდი: 2020 წლის წლიური ანგარიში

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი
7 საკრებულოს სხდომა

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

70 სამართლებრივი აქტი

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის
წარმდგენმა

მხარი დაუჭირე ყველა საკითხს

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა
ანგარიშის წარმდგენმა

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიაში ჩატარდა 5 სხდომა, ხოლო
ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიაში 5 სხდომა.

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

45 სამართლებრივი აქტი

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის
წარმდგენმა

მხარი დაუჭირე ყველა საკითხს

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები
-

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

- სისტემური შეხვედრები მოსახლეობასთან - ქალაქ ბათუმში, გონიო-კვარიათის, ადლია აეროპორტის ტერიტორიული ორგანოს შენობებში და სამაჟორიტარო ზონაში.

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

- დღის განმავლობაში საშუალოდ 10-დან 15 მოქალაქემდე

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

- სოციალური, ინფრასტრუქტურული, განათებისა და პირადი საკითხები

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

- მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე კონტროლის და ზედამხედველობის გაწევა, სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრება, ახალი ბულვარის გაგრძელების ტერიტორიაზე ტური-სტებისათვის სამზადისი. მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახებზე დახმარება. სამედიცინო საკითხებზე კონსულტაციები, გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის რეგისტრაციის საკითხებში ჩართულობა. მიმდინარე კეთილმოწყობითი სამუშაოების მონიტორინგი, მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციის საკითხების განხილვა, სანიაღვრე კანალიზაციის გაწმენდა და მოწყობითი სამუშაოების დაგეგმვა და შეფასება. მუნიციპალური ავტოტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის და მარშრუტის განსაზღვრა, კონსულტაციები. სოციალურ დახმარებებში კომუნიკაცია და სამედიცინო სერვისები.

შედეგი, ეფექტი:

ჩემს სამაჟორიტაროში, ერთი წლის განმავლობაში, დახლოებით 700-მდე მოქალაქეს შევხვდი. მოგეხსენებათ ადლია-აეროპორტი და გონიო-კვარიათი ქალაქზე შემოერთებული ტერიტორია და შესაბამისად პრობლემები აქ გაცილებით მეტია, ვიდრე სხვაგან. მოსახლეობა ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვს, ეს იქნება გზების დაგება, სანიაღვრე არხების და გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის საცხოვრებლამდე მიყვანა თუ სხვა.

შეიძლება ითქვას, შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში, რადგან ასფალტის საფარი დაიგო:

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N3;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N4;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N120-122;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი I შესახვევი;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი III შესახვევი;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი II ჩიხი;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი III ჩიხი;

ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IV ჩიხი;
ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი VI ჩიხი;
ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი VII ჩიხი;
აფსაროსის გზატკეცილი I შესახვევი;
აფსაროსის გზატკეცილი III შესახვევი;
აფსაროსის გზატკეცილი II ჩიხი;
მატათა მოციქულის ქუჩა;
მირიან მეფის ქუჩა;
მირიან მეფის ქუჩა I ჩიხი;
მირიან მეფის ქუჩა II ჩიხი;
მირიან მეფის ქუჩა III ჩიხი;
სვიმიმონ კანანელის ქუჩა N3;
სვიმიმონ კანანელის ქუჩა N15-17-19;
სვიმიმონ კანანელის ქუჩა N70;
სვიმონ კანანელის I შესახვევი;
სვიმონ კანანელის I ჩიხი;
სვიმონ კანანელის II ჩიხი;
წმინდა ნინოს ქ. I ჩიხი;

ხოლო ბეტონის საფარი კი შემდეგ ქუჩებზე:

ავგიის ქუჩა N18;
ავგიის ქუჩა N60;
ავგიის ქუჩა N64;
ავგიის ქუჩა I ჩიხი;
ავგიის ქუჩა II ჩიხი;
ავგიის ქუჩა III ჩიხი;
ავგიის ქუჩა IV ჩიხი;
ავგიის ქუჩა V ჩიხი;
იოანე ლაზის ქუჩა;
იოანე ლაზის I შესახვევი;
მირიან მეფის ქუჩა II ჩიხი;
მირიან მეფის ქუჩა III ჩიხი;
პეტრე იბერის ქუჩა N19-23;
პეტრე იბერის ქუჩა N65;
პეტრე იბერის ქუჩა N46-ის მიმდებარე ტერიტორია;
პეტრე იბერის ქუჩა N56;
პეტრე იბერის ქუჩა II ჩიხი;
პეტრე იბერის ქუჩა III ჩიხი;
წმინდა ნინოს ქუჩა.

გარეგანათება გაკეთდა:

ავგიის ქუჩა;

ავგის I ჩიხი;
ავგის II ჩიხი;
ავგის III ჩიხი;
ავგის IV ჩიხი;
ავგის V ჩიხი;
ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი II შესახვევი;
ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი I ჩიხი;
აფსაროსის გზატკეცილი I შესახვევი;
სვიმონ კანანელის ქუჩა N39;
წმინდა ნინოს ქუჩა;
წმინდა ნინოს ქუჩა II ჩიხი;
მატათა მოციქულის ქუჩა II ჩიხი;
პეტრე იბერის ქუჩა I ჩიხი;
პეტრე იბერის ქუჩა II ჩიხი.

დამცავი კედელი მოეწყო:
იოანე ლაზის ქუჩა N5-ა;
იოანე ლაზის ქუჩა N8-ის მოპირდაპირედ;
იოანე ლაზის ქუჩა I შესახვევი N8;
მატათა მოციქულის ქუჩა N32;
მირიან მეფის III ჩიხი N9;
პეტრე იბერის ქუჩა N75;
პეტრე იბერის ქუჩა II ჩიხი N25;
პეტრე იბერის ქუჩა V ჩიხი N3;
იოანე ლაზის ქ. N39-41;
იოანე ლაზის I შესახვევი N9ა.

ამ ინფრასტრუქტურული სამუშაოების მცირე ნაწილის სამუშაოები დაიწყო 2019 წელს და დღეს უკვე დასრულებულია. სათქმელია ისიც, რომ გონიო-კვარიათში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მაგისტრალური ხაზი მეჯინისწყლიდან გონიოში მდებარე რეზერვუარამდე, შემდეგ კი, სარფის საზღვრამდე გრძელდება და შიდა დაქსელებების გათვალისწინებით ჯამში 30 კმ. ქსელს მოიცავს.

ასევე მიმდინარეობს 2000 კმ ტევადობის წყლის რეზერვუარის მშენებლობა. რეზერვუარი განთავსებულია ზღვის დონიდან 40 მ. სიმაღლეზე და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ უზრუნველყოფს დაახლოებით 1000-მდე აბონენტის თვითდინებით, 24 საათიან რეჟიმში წყალმომარაგებაში ჩართვას. პროექტის დასრულების შემდეგ გონიო-კვარიათში წყალმომარაგების პრობლემა სრულად გადაიჭრება.

მეტ-ნაკლებად მოგვარდა მიწის აღიარების პრობლემა, თუმცა ჯერ კიდევ დგას დღის წესრიგში ისეთი საკითხები, როგორც არის გონიოს ციხის, ძეგლის დაცვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის აღიარებისა და შემდგომი მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი. ბათუმის მერიის ქონების მართვის სამსახური შესაბამისად რეაგირებს. დეტალურად სწავლობს აღნიშნულ პრობლემას და მოსახლეობას ეტაპობრივად აცნობებს პასუხს.

მიუხედავად იმისა, რომ გონიო-კვარიათში ქუჩების უმეტესი ნაწილი კეთილმოწყობილია, კვლავაც რჩება ამ მიმართულებებით სამუშაოები ჩასატარებელი. გონიო-კვარიათში მოსაწყობია ზღვაზე გასასვლელი გზები, სანიაღვრე არხები, გასარემონტებელია არსებული

და მოსაწყობია ახალი საბავშვო ატრაქციონები, მინი-მოედნები. ახალი ბულვარი უნდა გაგრძელდეს კვარიათის ბოლომდე. მოსახლეობის პრობლემებზე საქმის კურსში ვაყენებ მერიის შესაბამის სამსახურებს. პრობლემების ნაწილი - პრიორიტეტების გათვალისწინებით 2020 წლის ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში აისახება.

გონიო-კვარიათთან შედარებით მდგომარეობა არასახარბიელოა ადლია-აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ქუჩების უმეტესი ნაწილი კეთილმოწყობელია. რიგი სამუშაოები დიდი ალბათობით ვერ აისახება ქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტში, რადგან, ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება ისტორიული პროექტის დაწყება, რომლის ღირებულება 200 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში შემოერთებულ ტერიტორიებზე სრულად მოეწყობა წყლისა და წყალარინების სისტემები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ამ ეტაპზე კი ინასარიძის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. შეიცვალა სანიაღვრე სისტემა, მოეწყო ტროტუარები და ბორდიურები, დაიგო ფილები. მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგება და გარე განათების მონტაჟი. პროექტის ღირებულება 4 მილიონ 631 ათას ლარს შეადგენს. სამუშაოები 2020 წლის სექტემბერში დასრულდება.

გონიო-კვარიათის მოსახლეობის მსგავსად, როგორც უკვე აღვნიშნე, ადლია-აეროპორტის მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა, ჩასატარებელია ფერდსამაგრი და ნაპირსამაგრი სამუშაოები, კეთილმოსაწყობია ეზოები, სპორტული მოედნები, შამბოები და სხვა.

გონიო-კვარიათისა და ადლია-აეროპორტის მოსახლეობასთან კვლავაც აქტიურად გავაგრძელებ შეხვედრებს, შესაძლებლობების ფარგლებში თითოეულ მოქალაქეს დავეხმარები პრობლემის მოგვარებაში.

პანდემიის პერიოდში 50 ოჯახს დაეხმარა სასურსათო კალათით, ასევე ბათუმში მცხოვრებ ოჯახებს გაუწია მედიკამენტებისთვის ფინანსური დახმარება.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

მოსახლეობასთან შეხვედრებიდან გამომდინარე, მათგან წამოჭრილი პრობლემების მოგვარება. აღნიშნული პრობლემების ასახვა 2021 წლის ბიუჯეტში. პრობლემების ნაწილზე მზადაა პროექტები და სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულია ტენდერები, ნაწილი კი 2021 წლის ბიუჯეტში, ამ შემთხვევაშიც პრიორიტეტების გათვალისწინებით აისახება.